



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია  
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის  
მდივნის  
განკარგულება №02-713/2018

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ.  
„პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორია“ დამკვირვებლის რეგისტრაციის  
გაუქმების თაობაზე

ქ. თბილისი

2018 წელი 19 ნოემბერი

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 77-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 78-ე მუხლის მე-12 პუნქტისა და ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ა.(ა).ი.პ. „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორია“ ხელმძღვანელის ლაშა დიაროვის მიერ წარმოდგენილი 2018 წლის 19 ნოემბრის განცხადების (ცესკოში რეგისტრაციის №5984) შესაბამისად, ვადგენ:

**მუხლი 1.** გაუუქმდეს რეგისტრაცია „საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებისათვის ა.(ა).ი.პ. „პოლიტიკისა და სამართლის ობსერვატორია“ დამკვირვებლების რეგისტრაციის თაობაზე“ საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მდივნის 2018 წლის 23 ოქტომბრის №02-551/2018 განკარგულებით რეგისტრირებულ დამკვირვებელს - №40 გიზდარხანნი აბდულლაევას.

**მუხლი 2.** ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მისი გამოცემიდან 2 კალენდარული დღის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

კომისიის მდივანი

გიორგი ჯავახიშვილი